სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისთვის

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....3-5

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....7

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....8

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-გამარტებითი შენიშვნები 10-70

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ (შემდგომში კომპანია) ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

სს სადაზღვევო კომპანია უნისონის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს აღმოვაჩინეთ, რომ კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა თანხვედრაში არაა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ით (IFRS 17) დადგენილ ახალ წესებთან, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს. ოპერაციები არ იყო აღრიცხული ფასს 17-ის შეფასების, აღიარებისა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად. ნაცვლად, ზოგიერთი საჭირო ინფორმაციის მართვა ხდებოდა ექსელის ცხრილების გამოყენებით. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში ამ ინფორმაციის არარსებობამ გაართულა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 17-ის ზემოქმედების საფუძვლიანი შეფასება. აღნიშნულ საკითხების მატერიალური გავლენის გამო ჩვენი მოსაზრება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარისგებაზე მოდიფიცირებულია.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდირებული იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გამოხატა მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე 2023 წლის 18 აპრილს.

სხვა ინფორმაცია

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მენეჯმენტის ანგარიშში შესულ ინფორმაციას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვთქვამთ მასთან დაკავშირებულ რაიმე სახის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა თქვენი ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ “საქართველოს კანონის მე–7 მუხლის მე–6 პუნქტთან მიმართებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 15 აპრილით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ

ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ABC კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშ გების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

15 აპრილი, 2024

შპს არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტზა (SARAS-A-577214)

RSM Georgia
85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ (შემდგომში კომპანია) ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

სს სადაზღვევო კომპანია უნისონის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს აღმოვაჩინეთ, რომ კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა თანხვედრაში არაა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ით (IFRS 17) დადგენილ ახალ წესებთან, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს. ოპერაციები არ იყო აღრიცხული ფასს 17-ის შეფასების, აღიარებისა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად. ნაცვლად, ზოგიერთი საჭირო ინფორმაციის მართვა ხდებოდა ექსელის ცხრილების გამოყენებით. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში ამ ინფორმაციის არარსებობამ გაართულა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 17-ის ზემოქმედების საფუძვლიანი შეფასება. აღნიშნულ საკითხების მატერიალური გავლენის გამო ჩვენი მოსაზრება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარისგებაზე მოდიფიცირებულია.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდირებული იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გამოხატა მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე 2023 წლის 18 აპრილს.

სხვა ინფორმაცია

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მენეჯმენტის ანგარიშში შესულ ინფორმაციას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვთქვამთ მასთან დაკავშირებულ რაიმე სახის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა თქვენი ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ "საქართველოს კანონის მე–7 მუხლის მე–6 პუნქტთან მიმართებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2024 წლის 15 აპრილით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან შოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის

ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ABC კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშ გების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

15 აპრილი, 2024

შპს არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტზა (SARAS-A-577214)

RSM Georgia

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2023	გადაანგარიშებული 2022
სადაზღვევო ამონაგები	4	55,417,399	54,230,143
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	5	(24,689,065)	(27,357,235)
სადაზღვევო მომსახურეობის შედეგი გადაზღვევამდე		**30,728,334**	**26,872,908**
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი	4	4,317,410	5,100,468
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები	5	(33,170,633)	(29,354,745)
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წმინდა ხარჯები		**(28,853,223)**	**(24,254,277)**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი		**1,875,111**	**2,618,631**
წმინდა ფინანსური შემოსავალი	6	1,757,489	794,543
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი, წმინდა		(272,525)	(2,225,500)
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი		(155,944)	(118,935)
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან		222,393	189,412
წმინდა ფინანსური შედეგი		**1,551,413**	**(1,360,480)**
სხვა შემოსავალი		47,897	426,070
მოგება დაბეგვრამდე		**3,474,421**	**1,684,221**
მოგების გადასახადის ხარჯი		(774,653)	(403,599)
წმინდა მოგება		**2,699,768**	**1,280,622**
სხვა სრული შემოსავალი		**-**	**-**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**2,699,768**	**1,280,622**

ვასილ ახრახაძე
გენერალური დირექტორი

თეა ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2023	გადაანგარიშებული 2022
სადაზღვევო ამონაგები	4	55,417,399	54,230,143
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	5	(24,689,065)	(27,357,235)
სადაზღვევო მომსახურეობის შედეგი გადაზღვევამდე		**30,728,334**	**26,872,908**
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი	4	4,317,410	5,100,468
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები	5	(33,170,633)	(29,354,745)
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წმინდა ხარჯები		**(28,853,223)**	**(24,254,277)**
გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგი		**1,875,111**	**2,618,631**
წმინდა ფინანსური შემოსავალი	6	1,757,489	794,543
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი, წმინდა		(272,525)	(2,225,500)
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი		(155,944)	(118,935)
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან		222,393	189,412
წმინდა ფინანსური შედეგი		**1,551,413**	**(1,360,480)**
სხვა შემოსავალი		47,897	426,070
მოგება დაბეგვრამდე		**3,474,421**	**1,684,221**
მოგების გადასახადის ხარჯი		(774,653)	(403,599)
წმინდა მოგება		**2,699,768**	**1,280,622**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**2,699,768**	**1,280,622**

ვასილ ახრახაძე
გენერალური დირექტორი

თეა ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	გადაანგარიშებული 31.12.2022	გადაანგარიშებული 01.01.2022
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	7,988,767	12,566,506	4,779,382
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	8	19,964,000	12,671,459	11,089,834
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	9	6,286,241	7,056,197	7,971,473
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		-	97,325	-
სხვა აქტივები	10	1,647,775	1,247,523	1,009,258
საგადასახადო აქტივი		262,144	164,414	238,127
აქტივის გამოყენების უფლება		197,123	189,339	88,898
არამატერიალური აქტივები		220,392	281,652	100,698
ძირითადი საშუალებები	11	3,963,250	3,740,699	3,910,284
		40,529,692	**38,015,114**	**29,187,954**
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	14	2,459,435	2,459,435	2,459,435
გადაფასების რეზერვი		1,566,378	1,566,378	1,624,550
გაუნაწილებელი მოგება		13,190,112	10,690,344	9,351,550
		17,215,925	**14,716,157**	**13,435,535**
ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	12	17,193,324	17,733,409	13,944,108
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება		-	-	33,684
საგადასახადო ვალდებულება		775,420	-	-
საიჯარო ვალდებულებები		195,852	183,018	80,816
სხვა ვალდებულებები	13	5,149,171	5,382,530	1,693,811
		23,313,767	**23,298,957**	**15,752,419**
		40,529,692	**38,015,114**	**29,187,954**

ვასილ ახრახაძე
გენერალური დირექტორი

თეა ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	გადაანგარიშებული 31.12.2022	გადაანგარიშებული 01.01.2022
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	7	7,988,767	12,566,506	4,779,382
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	8	19,964,000	12,671,459	11,089,834
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	9	6,286,241	7,056,197	7,971,473
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი		-	97,325	-
სხვა აქტივები	10	1,647,775	1,247,523	1,009,258
საგადასახადო აქტივი		262,144	164,414	238,127
აქტივის გამოყენების უფლება		197,123	189,339	88,898
არამატერიალური აქტივები		220,392	281,652	100,698
ძირითადი საშუალებები	11	3,963,250	3,740,699	3,910,284
		40,529,692	**38,015,114**	**29,187,954**
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	14	2,459,435	2,459,435	2,459,435
გადაფასების რეზერვი		1,566,378	1,566,378	1,624,550
გაუნაწილებელი მოგება		13,190,112	10,690,344	9,351,550
		17,215,925	**14,716,157**	**13,435,535**
ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	12	17,193,324	17,733,409	13,944,108
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება		-	-	33,684
საგადასახადო ვალდებულება		775,420	-	-
საიჯარო ვალდებულებები		195,852	183,018	80,816
სხვა ვალდებულებები	13	5,149,171	5,382,530	1,693,811
		23,313,767	**23,298,957**	**15,752,419**
		40,529,692	**38,015,114**	**29,187,954**

ვასილ ახრახაძე
გენერალური დირექტორი

თეა ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო წლისთვის

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
31 დეკემბერი 2021	**2,459,435**	**9,928,157**	**1,624,550**	**14,012,142**
ფაას 17 კორექტირება		(576,607)		**(576,607)**
31 დეკემბერი 2021 გადაანგარიშებული	**2,459,435**	**9,351,550**	**1,624,550**	**13,435,535**
წლის სრული შემოსავალი	-	1,280,622	-	**1,280,622**
ფულადი შენატანი კაპიტალში	-	-	-	**-**
გადაფასების რეზერვის გადატანა მოგებაზე	-	58,172	(58,172)	**-**
31 დეკემბერი 2022 გადაანგარიშებული	**2,459,435**	**10,690,344**	**1,566,378**	**14,716,157**
წლის სრული შემოსავალი	-	2,699,768	-	**2,699,768**
დივიდენდის გაცემა	-	(200,000)	-	**(200,000)**
31 დეკემბერი 2023	**2,459,435**	**13,190,112**	**1,566,378**	**17,215,925**

ვასილ ახრახაძე
გენერალური დირექტორი

თეა ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო წლისთვის

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
31 დეკემბერი 2021	**2,459,435**	**9,928,157**	**1,624,550**	**14,012,142**
ფაას 17 კორექტირება		(576,607)		**(576,607)**
31 დეკემბერი 2021 გადაანგარიშებული	**2,459,435**	**9,351,550**	**1,624,550**	**13,435,535**
წლის სრული შემოსავალი	-	1,280,622	-	**1,280,622**
ფულადი შენატანი კაპიტალში	-	-	-	-
გადაფასების რეზერვის გადატანა მოგებაზე	-	58,172	(58,172)	-
31 დეკემბერი 2022 გადაანგარიშებული	**2,459,435**	**10,690,344**	**1,566,378**	**14,716,157**
წლის სრული შემოსავალი	-	2,699,768	-	**2,699,768**
დივიდენდის გაცემა	-	(200,000)	-	**(200,000)**
31 დეკემბერი 2023	**2,459,435**	**13,190,112**	**1,566,378**	**17,215,925**

ვასილ ახრახაძე
გენერალური დირექტორი

თეა ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**2023**	**2022**
სადაზღვევო ამონაგებიდან მიღებული თანხა	49,173,097	52,488,500
გადახდილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(14,762,731)	(16,572,643)
გადაზღვევის კონტრაქტებიდან მიღებული ფული	1,735,016	112,692
გადახდილი გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ხარჯები	(26,855,421)	(21,265,073)
მიღებული დეპონირება	34,002	3,787,564
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(2,810,627)	(2,483,833)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1,012,309)	(916,193)
გადახდილი საბანკო ხარჯები	(13,415)	(20,360)
გადახდილი იჯარა	(17,190)	(14,600)
გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება	(39,620)	(23,600)
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები	(230,484)	(172,154)
გადახდილი მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	(35,762)	(19,826)
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	1,475,466	842,741
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	(7,053,460)	(3,320,808)
გადახდილი საოფისე ხარჯები	(53,650)	(64,780)
სხვა გადახდილი ხარჯები	(303,110)	(344,142)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	**(770,198)**	**12,013,485**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(120,000)	(355,972)
შეძენილი ძირითადი საშუალებები	(496,371)	(488,640)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	565,220
არამატერიალური აქტივების შეძენა და მოვლა	(123,595)	(276,287)
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	(2,452,721)	(2,611,236)
წინანსწარ გადახდილი გადასახადები	(100,750)	(497,303)
მიღებული ავანსები	44,557	174,283
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	**(3,248,880)**	**(3,489,935)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	(108,651)	(86,825)
გადახდილი დივიდენდი	(200,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან/ (გამოიყენება).	**(308,651)**	**(86,825)**
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი	(250,010)	(649,601)
ფული და ფულის ექვივალენტები წმინდა ზრდა/(კლება)	**(4,577,739)**	**7,787,124**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	**12,566,506**	**4,779,382**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**7,988,767**	**12,566,506**

ვასილ ახრახაძე
გენერალური დირექტორი

თეა ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო წლისთვის

ფულადი ნაკადების აწგარიშგება

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
სადაზღვევო ამონაგებიდან მიღებული თანხა	49,173,097	52,488,500
გადახდილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(14,762,731)	(16,572,643)
გადაზღვევის კონტრაქტებიდან მიღებული ფული	1,735,016	112,692
გადახდილი გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ხარჯები	(26,855,421)	(21,265,073)
მიღებული დეპონირება	34,002	3,787,564
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(2,810,627)	(2,483,833)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1,012,309)	(916,193)
გადახდილი საბანკო ხარჯები	(13,415)	(20,360)
გადახდილი იჯარა	(17,190)	(14,600)
გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება	(39,620)	(23,600)
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები	(230,484)	(172,154)
გადახდილი მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	(35,762)	(19,826)
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	1,475,466	842,741
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	(7,053,460)	(3,320,808)
გადახდილი საოფისე ხარჯები	(53,650)	(64,780)
სხვა გადახდილი ხარჯები	(303,110)	(344,142)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	**(770,198)**	**12,013,485**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(120,000)	(355,972)
შეძენილი ძირითადი საშუალებები	(496,371)	(488,640)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	565,220
არამატერიალური აქტივების შეძენა და მოვლა	(123,595)	(276,287)
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	(2,452,721)	(2,611,236)
წინანსწარ გადახდილი გადასახადები	(100,750)	(497,303)
მიღებული ავანსები	44,557	174,283
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	**(3,248,880)**	**(3,489,935)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	(108,651)	(86,825)
გადახდილი დივიდენდი	(200,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან/ (გამოიყენება).	**(308,651)**	**(86,825)**
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი	(250,010)	(649,601)
ფული და ფულის ექვივალენტები წმინდა ზრდა/(კლება)	**(4,577,739)**	**7,787,124**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	**12,566,506**	**4,779,382**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**7,988,767**	**12,566,506**

ვასილ ახრახაძე
გენერალური დირექტორი

თეა ხუნდაძე
ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ - ს/კ 404393152 (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წელს. კომპანია ფუნქციონირებს სააქციო საზოგადოების ფორმით. გამოშვებული აქციების რაოდენობა შეადგენს 2,459,435 ცალს. 1 აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. კომპანია ფლობს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიებს.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევის შემდეგ სახეობებს: სამედიცინო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ავტოდაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, ტვირთის დაზღვევა, ფინანსური რისკის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ.

კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, გამრეკელის ქ. 19.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „პრივატი“, რომელსაც 90% -იანი წილით აკონტროლებს ვასილ ახრახაძე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად, რაც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (“ბასსკ”) მიერ გამოცემული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბერს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებია მუხლები წარმოდგენილია ლიკვიდურობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. ისტორიული ღირებულება ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს, ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე, გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების დასადგენად კომპანია მაქსიმალურად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება არ არის უშუალოდ დაკვირვებადი, ის შეფასებულია კომპანიის მიერ (კვალიფიციურ შემფასებელთან) შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებას და მინიმუმამდე დაყვანს დაუკვირვებადი მონაცემების გამოყენებას (მაგალითად: ბაზრის შესადარებელი მიდგომას გამოყენებას, რომელიც ასახავს ბოლო ტრანზაქციის ფასებს მსგავსი ნივთებისთვის, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს ან ოფციონის ფასების მოდელებს, რომლებიც ითვალისწინებს ემიტენტის სპეციფიკური გარემოებების ასახვისთვის). გამოყენებული მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ.

2.1.1 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

შემდეგი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ

სტანდარტი	სათაური	ძალაში შესვლის თარიღი
ბასს 1	სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენა - შესწორებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2	2023 წლის 1 იანვარი
ბასს 8	სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - შესწორებები ბასს 8-ში	2023 წლის 1 იანვარი
ბასს 12	გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან ბასს 12-ის შესწორება	2023 წლის 1 იანვარი
ფასს 17	სადაზღვევო ხელშეკრულებები	2023 წლის 1 იანვარი

ზემოაღნიშნული სტანდარტები დანერგილია კომპანიის მიერ და არ ქონიათ მატერიალური გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა „ფასს 17 – „სადაზღვევო ხელშეკრულებებისა”.

გარდა ამისა, კომპანიამ ფასს-17-თან ერთად დანერგა ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“. კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები, რამაც გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილება და წინა პერიოდების ფინანსური ანგარშგებაში აღიარეული თანხების კორექტირება. კომპანიამ აღიარა დამატებითი გაუფასურების რეზერვი მოსალოდნელ პრემიასა და გადაზღვევიდან მისაღებ თანხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შესაბამისად.

2.1.2 გამოცემული მაგრამ ძალაში არ შესული სტანდარტები

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების გავლენა, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, წარმოდგენილია ქვემოთ. კომპანია აპირებს მიიღოს ეს შესაბამისი სტანდარტები, როდესაც ისინი ძალაში შევა.

სტანდარტული ნომერი	სათაური	ძალაში შესვლის თარიღი
ბასს 1	შესწორებები ბასს 1-ში – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით	2024 წლის 1 იანვარი
ფასს 16	შესწორებები ფასს 16-ში – იჯარა და უკუიჯარა	2024 წლის 1 იანვარი

2.2 გადასვლის გავლენა

კომპანიამ აღიარა ფაას 17-ზე გადასვლის რეზეერვები და ამ სტანდარტის დანერგვის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 1 იანვარსა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2022	**ფასს-17-მდე**	**ფასს-17 შემდეგ**	**გავლენა**

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	17,680,686	17,733,410	(52,724)
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	7,603,086	7,056,197	(546,889)
კაპიტალზე გავლენა			**(599,613)**

1 იანვარი 2022	**ფასს-17-მდე**	**ფასს-17 შემდეგ**	**გავლენა**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	13,994,606	13,944,108	50,498
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	8,598,578	7,971,473	(627,105)
კაპიტალზე გავლენა			**(576,607)**

2.3 ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17 _ „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ადგენს აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპებს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის და დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებებისთვის. მოდელი აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებს, მომავალი ფულადი ნაკადების, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ ხელშეკრულებების შესრულებისას, დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რისკის კორექტირება არაფინანსური რისკისთვის და სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა.

ფასს 17-ის მიხედვით, სადაზღვევო ამონაგები ყოველ საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს ცვლილებებს ვალდებულებებში დარჩენილი პერიოდებისთვის, რაც ეხება ისეთ მომსახურებას, რომლისთვისაც კომპანია ელოდება ანაზღაურებას და პრემიების განაწილებას, რომელიც დაკავშირებულია აკვიზიციის ხარჯის დაბრუნებასთან. გარდა ამისა, საინვესტიციო კომპონენტები აღარ შედის სადაზღვევო ამონაგებსა და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებში.

კომპანია იყენებს PAA-ს არასასიცოცხლო სეგმენტში ხელშეკრულებების შეფასების გასამარტივებლად. როცა ვალდებულებეის გაზომვა ხდება დარჩენილი პერიოდისთვის, PAA მსგავსია კომპანიის წინა სააღრიცხვო მიდგომისთან. თუმცა, როცა ხდება ვალდებულებების შეფასება მომხდარი ზარალებისთვის, კომპანია მომავალი ფულადი ნაკადების დიკონტირებას ახდენს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსალოდნელია რომ მოხდება ერთ წელში ან ნაკლებში თარიღიდან, როცა ზარალი მოხდა) და მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირებას.

ფასს 17 ცვლის ფასს 4-ს 2023 წლის 1 იანვარის შემდეგ. კომპანიას აქვს გადაანგარიშებული შესადარისი ინფორმაცია ფასს 17-ის გარდამავალი დებულების გამოყენებით.

2.4 აღიარება

აღიარების მოთხოვნები ოდნავ განსხვავდება გაცემული ხელშეკრულებისა და დადებული ხელშეკრულებისთვის. გაცემული ხელშეკრულების ჯგუფებისთვის ჯგუფი უნდა იყოს აღიარებული, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;

თარიღი, როცა პოლისის მფლობელის გადასახადი გახდება ვადაგადაცილებული; და

ზარალიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, როცა ჯგუფი გახდება ზარალიანი.

საწარმომ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფი უნდა აღიაროს შემდეგი თარიღებიდან უფრო ადრინდელი თარიღისთვის:

გადაზღვევის პერიოდის დასაწყისიდან;

თარიღი როცა კომპანია აღიარებს წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფს, იმ პირობით, რომ

გადაზღვევის ხელშეკრულება ძალაში იყო ამ თარიღში ან ამ თარიღამდე.

ზემოაღნიშნული პირველი პუნქტის მიუხედავად, დადებული პროპორციული გადაზღვევის ხელშეკრულებესი აღიარება უნდა გადაიდოს ამ გადაზღვევის ხელშეკრულების ფარგლები მოქცეული პირველი ხელშეკრულების აღიარებამდე.

სადაზღვევო ხელშეკრულებების აგრეგირების დონე

აგრეგირების დონე ეხება ფასს 17-ის მიხედვით ასაღიარებელ ერთეულს. ფასს 17-ის მიხედვით ასაღირებენ ერთეულს მოიხსენიებენ, როგორც „ხელშეკრულებათა ჯგუფს“ და მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია აგრეგირების დონესთან, ადგენს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ჯგუფები.

სტანდარტმა დაადგინა შემდეგი მოთხოვნები ხელშეკრულებების ჯგუფის დასადგენად:

პორტფელი - ხელშეკრულებები, რომლებსაც აქვთ მსგავსი რისკები და იმართება ერთად იმართება, შეიძლება ერთად დაჯგუფდეს.

მომგებიანობა - ხელშეკრულებები მსგავსი მოსალოდნელი მომგებიანობით (დაწყებისას ან თავდაპირველი აღიარებისას) შეიძლება დაჯგუფდეს.

ამ მიზნით, სტანდარტმა მოითხოვა მინიმუმ შემდეგი სამი კლასიფიკაცია, თუმცა ნებადართულია უფრო დეტალური კლასიფიკაციის გამოყენებაც:

ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წაგებიანია, ასეთის არსებობისას;

ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წაგებიანი; და

პორტფელში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი.

კოჰორტები

12 თვეზე მეტი ვადით გაცემული კონტრაქტები არ შეიძლება დაჯგუფდეს ერთად. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში ნებადართულია ერთჯერადი გამარტივება კონტრაქტებისთვის, როგორც გარდამავალ პერიოდში.

ზემოაღნიშნული სამი მოთხოვნის უნიკალური კომბინაცია ქმნის კონტრაქტების ჯგუფს, ანუ კონტრაქტები ერთი და იგივე პორტფელით, იგივე მოსალოდნელი მომგებიანობით და იმავე წელს გამოშვებული შეიძლება დაჯგუფდეს ერთად. ეს დაჯგუფება მუდმივია და არ შეიძლება შეიცვალოს მინიჭების შემდეგ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები პირველადი აღიარების შემდეგ. მაგალითად, დროთა განმალობაში, ერთეულმა შეიძლება გააცნობიეროს, რომ ხელშეკრულება, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანად ითვლებოდა, მსგავსი არ აღმოჩნდა მაგრამ თავიდან დაჯგუფება არ არის ნებადართული.

2.5 შეფასების მოდელები

გაზომვის მოდელი, გამარტივებული მიდგომით, ეხება სადაზღვევო კონტრაქტის აქტივებისა და ვალდებულებების და მასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების გამოთვლის საფუძველს ან მეთოდოლოგიების ერთობლიობას. ფასს 17-მა წარმოადგინა შემდეგი სამი შეფასების მოდელი:

პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა ("PAA")

PAA არის არჩევითი გამარტივებული მიდგომა, რომელსაც კომპანიას შეუძლია გამოიყენოს 12 თვემდე დაფარვის ხელშეკრულებებზე ან იმ ხელშეკრულებზე რომელთა დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არ იქნება განსხვავებული PAA-სა და GMM-ის მეთოდების გამოყენებისას. გამოთვლების თვალსაზრისით, ძირითადი გამარტივება ეხება დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას (LRC-ს).

PAA-ს მიხედვით, არ არის საჭირო პრემიის თითოეული კომპონენტის ცალ-ცალკე განხილვა, ამის ნაცვლად შეიძლება წარდგენა მოხდეს ერთი ვალდებულებად. ნებისმიერი შეფასების თარიღისთვის PAA-ს ქვეშ მყოფი ვალდებულების კომპონენტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება ("LRC")
- გარდა ზარალის კომპონენტისა
- ზარალის კომპონენტი, ასეთის არსებობის შემთხვევში

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება ("LIC")
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებება
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება

კომპანიის ყველა მოკლევადიანი გარიგება ექვემდებარება ამ გამარტივებას და კომპანიამ მიიღო ეს გამარტივება შესაბამის შემთხვევებში. PAA-ს მიხედვით, ზარალის კომპონენტი და ზარალის რეზერვები მოითხოვს რისკის კორექტირებას, რაც გაზრდის ვალდებულებებს, ხოლო დისკონტირება ზოგადად შეამცირებს ვალდებულებებს. PAA-ს წმინდა ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა რისკის კორექტირება მეტი დოსკონტირეის ეფექტზე ან გადავადებული ხარჯების ეფექტზე, რომ ამჟამად არ არის გადავადებული.

ზოგადი შეფასების მოდელი ("GMM")

GMM არის ძირითადი მოდელი და გამოიყენება ყველა კონტრაქტზე, რომლებზედაც არ ვრცელდება პრემიის განაწილების მიდგომა ("PAA") და ცვლადი საფასურის მიდგომა ("VFA"). GMM ეფუძნება წინაპირობას, რომ პრემიები სადაზღვევო კონტრაქტებიდან მოიცავს გარკვეულ კომპონენტებს (როგორიცაა ზარალები, ხარჯები და მოგება) და რომ თითოეული კომპონენტი უნდა იყოს გათვალისწინებული მისი არსის მიხედვით. ვალდებულება GMM-ის მიხედვით შეფასების ნებისმიერი თარიღისთვის მოიცავს შემდეგს:

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება ("LRC")
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებება
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა ("CSM")

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება ("LIC")
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებება
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება

ცვალებადი საზღაურის მიდგომა ("VFA")

VFA არის სავალდებულო ცვლილება ხელშეკრულებებში პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით. კონტრაქტი არის ხელშეკრულება პირდაპირი მონაწილეობით, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- სახელშეკრულებო პირობები აზუსტებს, რომ დამზღვევი მონაწილეობს ძირითადი ელემენტების მკაფიოდ გამოვლენილ ჯგუფში.
- კომპანია მოელის, რომ გადაუხადოს დამზღვევს სამართლიანი ღირებულების უკუგების ტოლ თანხას.
- კომპანია მოელის, რომ გადაუხადოს დამზღვევს სამართლიან ღირებულებაში ცვლილებით დაკორექტირებულ თანხას.

VFA -ის მიდომით აღიარებული ვალდებულების კომპონენტები იგივეა, რაც GMM-ით და მათი გამოთვლებიც საკმაოდ მსგავსია გარდა CSM-ის ნაწილისა. VFA-ს მიხედვით, CSM-ის გამოთვლები ასახავს ცვალებადობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად ერთეულებთან, მაგრამ GMM არ ასახავს ამ ცვალებადობას. ანალოგიურად, არის ფინანსურ რისკთან დაკავშირებული სხვა ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენს CSM-ზე VFA-ის გამოყენებისას, მაგრამ არა GMM-ის ქვეშ.

ზემოთ განხილული გაზომვის მოდელები ეხმიანება გაცემული სადაზღვევო კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების კონტექსტს, მაგრამ იგივე პრინციპები გამოიყენება გადაზღვევის კონტრაქტებზე და მათთან დაკავშირებულ აქტივებზე (გარდა VFA-ისა). ანალოგიურად, LRC და LIC კომპონენტებია ნახსენებია, თუმცა თავდაპირველი აღიარებისას მხოლოდ LRC გამოიყენება.

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები, რისკის კორექტირება და დისკონტირება ერთობლივად მოიხსენიება, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ("FCF"). შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით GMM და VFA საკმაოდ მსგავსია, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებაა GMM/VFA და PAA-ს შორის. შემოსავლები GMM-სა და VFA-ში ასახავს პრემიის თითოეულ კომპონენტს ცალკე (როგორიცაა მოსალოდნელი ზარალები და ხარჯები), ხოლო PAA-ში შემოსავალი აჩვენებს მხოლოდ მთლიან თანხას.

კომპანიის ერთეულებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები იზომება VFA-ს გამოყენებით, ყველა სხვა გრძელვადიანი ხელშეკრულებები იზომება GMM-ის გამოყენებით. არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები GMM/VFA-სა და გრძელვადიანი ხელშეკრულებების მიმდინარე მეთოდოლოგიებს შორის. ძირითადი განსხვავებები განიხილება ქვემოთ:

ფასს 17-ის მიხედვით, აქტივები ან ვალდებულებები განისაზღვრება მთლიანი პრემიის გაანგარიშებით, რისკის პრემიის გამოთვლებისგან განსხვავებით. ეს გულისხმობს, რომ ფასს 17-ის მიხედვით აქტივების ან ვალდებულებების ყველა კომპონენტი, როგორიცაა ხარჯები ან მოგება, გამოთვლილი იქნება დეტალურად. ეს ასევე გულისხმობს იმას, რომ ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება მხოლოდ დასაწყისში, გადავადდება. ამ განსხვავების ზემოქმედება არ შეიძლება განზოგადდეს, რადგან ეს დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა

რისკის პრემიაზე დაფუძნებული გამოთვლების მარჟა უფრო მაღალი ან დაბალი ვიდრე მთლიანი პრემიაზე დაფუძნებული გამოთვლისას.

PAA-ს მსგავსად, GMM და VFA ასევე მოითხოვს რისკის კორექტირებას. რისკის კორექტირება ახალი მოთხოვნაა და ის არ არსებობს არსებული სტანდარტის მიხედვით. რისკის კორექტირება გაზრდის ვალდებულებებს გაცემულ სადაზღვევო კონტრაქტებზე და გაზრდის აქტივებს არსებული გადაზღვევის კონტრაქტებისთვის.

ფასს 17 ასევე ახორციელებს არსებით ცვლილებებს გრძელვადიანი კონტრაქტებისთვის მოგების აღიარების მოდელში, იგი მოითხოვს მოგების აღიარებას მიწოდებულ მომსახურებასთან მიმართებაში. ახალი სტანდარტი წარადგენს ახალ საზომს, „დაზღვეული მომსახურებები“, რათა რაოდენობრივად შეფასდეს მომსახურების გაწევა ნებისმიერ პერიოდში. იმის გათვალისწინებით, რომ ერთჯერადი პრემიის კონტრაქტები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო პერიოდის დასაწყისში, მაშინ როცა მომსახურება უზრუნველყოფილია მოქმედების პერიოდის განმავლობაში, მოსალოდნელია, რომ ფასს 17-ის მიხედვით მოგების აღიარება ერთჯერადი პრემიის კონტრაქტებისთვის შეფერხდება და, შესაბამისად, ამის გამო წმინდა ვალდებულებები გაიზრდება. ანალოგიურად, შეზღუდული გადახდის გეგმებისთვის, მოსალოდნელი მოგება აღიარებულია გადახდის ვადის ბოლოს და, შესაბამისად, მათთან დაკავშირებული მოგების აღიარება მოხდება მოგვიანებით ფასს 17-ის მიხედვით. რეგულარული გადახდები გეგმა დამოკიდებული იქნება თუ რამდენად ახლოსაა მომსახუროების მოდელი არსებულ გეგმებთან.

შემოსავლის განმარტება GMM-სა და VFA-ში საკმაოდ განსხვავებულია გრძელვადიანი კონტრაქტებისთვის. ფასს 17-ის მიხედვით შემოსავალი უფრო პირდაპირია და ცალკე მოიცავს პრემიის თითოეულ კომპონენტს (ანუ მოსალოდნელ ზარალებსა და ხარჯებს და მოგების ნაწილს, რომელიც ეხება მთლიან პერიოდს).

2.7 მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები

სტანდარტი მოითხოვს, რომ მომავალი ფულადი ნაკადები უნდა შეფასდეს ხელშეკრულების დასრულებამდე. ხელშეკრულების ვადის დასრულება განისაზღვრება, როგორც წერტილი, როდესაც კომპანიას შეუძლია გადააფასოს რისკი ან ანაზღაურება, ანუ პრემია. სტანდარტი არ ითვალისწინებს სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიას, თუმცა, ის უზრუნველყოფს დეტალურ მითითებებს ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ, რომლებიც ხდება ხელშეკრულების საზღვრებში და მის გარეთ. ის ასევე ითვალისწინებს გარკვეულ პრინციპებს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებასთან დაკავშირებით.

2.8 დისკონტირება

სტანდარტი მოითხოვს, რომ მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები უნდა იყოს დისკონტირებული, რათა აისახოს ფულის დროითი ღირებულება და ფინანსური რისკები. სხვა დებულებების მსგავსად, ის არ აკონკრეტებს დისკონტირების მეთოდოლოგიას ან დისკონტირების განაკვეთების განსაზღვრას, თუმცა, ის განსაზღვრავს გარკვეულ პრინციპებს. სტანდარტი აღიარებს შემდეგ ორ მიდგომას დისკონტირების განაკვეთების გამოსათვლელად:

- ქვემოდან ზემოთ: მიდგომა, სადაც გამოიყენება რისკის გარეშე განაკვეთი ან შემოსავლიანობის მრუდი და ემატება არალიკვიდურობის პრემია ფულადი სახსრების ნაკადების მახასიათებლების ასახვის მიზნით.
- ზემოდან ქვემოთ: მიდგომა, სადაც გამოიყენება პორტფელზე მოსალოდნელი სარგებელი და კორექტირდება, რათა ასახოს განსხვავებები ვალდებულებების ფულადი სახსრების მოძრაობის

მახასიათებლებსა და პორტფელის მახასიათებლებს შორის.

ფულადი სახსრების ნაკადებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია პირდაპირი მონაწილეობის მქონე კონტრაქტების ძირითად პუნქტებთან, დისკონტის განაკვეთები უნდა შეესაბამებოდეს სხვა შეფასებებს, რომლებიც გამოიყენება სადაზღვევო კონტრაქტების გასაზომად. ზემოაღნიშნული ორი მიდგომის კორექტირება შეიძლება საჭირო გახდეს ასეთი ფულადი სახსრების ძირითადი პუნქტების ცვალებადობის ასახვისთვის.

2.9 სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა ("CSM")

სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა (CSM) წარმოადგენს მიუღებელ მოგებას, რომელსაც ერთეული აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულების მომსახურებით მომავალში. თავდაპირველი აღიარებისას CSM გამოითვლება შესრულების ფულადი ნაკადების (FCF) გამოყენებით, ხოლო შემდგომ გაზომვისას CSM გამოითვლება საწყისი CSM ბალანსისა და პერიოდთან დაკავშირებული სხვადასხვა კორექტირების გამოყენებით. CSM-ის ნაწილი აღიარდება მოგება და ზარალში, როგორც შემოსავალი ყოველ პერიოდში დაფარვის ერთეულების გამოყენებით.

2.10 წაგებიანი კონტრაქტები და ზარალის კომპონენტები

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება მხოლოდ სავალუტო რისკს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური აქტივების, სადაზღვევო აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სადაზრვვეი ვალდებულებებს კატეგორიების მიხედვით.

	31.12.2023	31.12.2022
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები		
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	6,286,241	7,056,197
ფინანსური აქტივები		
სხვა აქტივები	1,121,805	849,214
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	19,964,000	12,671,459
ფული და ფულის ექვივალენტები	7,988,767	12,566,506
	35,360,813	**33,143,376**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	17,193,324	17,733,409
ფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	775,420	-
საიჯარო ვალდებულება	195,852	183,018
სხვა ვალდებულებები	5,149,171	5,382,530
	23,313,767	**23,298,957**

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობით. არ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

ძირითადი სფეროები, სადაც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს:

- სადაზღვევო აქტივები
- სხვა მოთხოვნები;
- საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - დავალიანება;
- საბანკო დეპოზიტები სამ თვეზე მეტი ვადით;
- ნორმატიული ანაბარი; და
- ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

კომპანიამ დანერგა კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან ურთიერთობის პოლიტიკა, ფინანსური ზარალის რისკის შესამცირებლად. კომპანიის მდგომარეობა და მისი კონტრაგენტების საკრედიტო რეიტინგები მუდმივად კონტროლდება და ტრანზაქციების ჯამური ღირებულება ვრცელდება დამტკიცებულ კონტრაგენტებს შორის. საკრედიტო მდგომარეობა კონტროლდება კონტრაგენტების ლიმიტებით, რომლებიც ყოველწლიურად განიხილება და ამტკიცებს მენეჯმენტს.

გადაზღვევა გამოიყენება სადაზღვევო რისკის მართვისთვის. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს კომპანიის, როგორც ძირითადი მზღვეველის პასუხისმგებლობას. თუ გადამზღვევი რაიმე მიზეზით ვერ გადაიხდის ზარალს, კომპანია რჩება პასუხისმგებელი დაზღვეულის წინაშე გადახდაზე. გადამზღვეველთა კრედიტუნარიანობა განიხილება ყოველწლიურად მათი ფინანსური სიძლიერის გადახედვით ნებისმიერი ხელშეკრულების დასრულებამდე.

რეგულარული ბიზნესი. ცალკეული კონტრაგენტების მიმართ ზემოქმედება ასევე იმართება სხვა მექანიზმებით, როგორიცაა კომპენსაციის უფლება, სადაც კონტრაგენტები არიან კომპანიის მოვალეებიც და კრედიტორებიც. კომპანიისთვის წარდგენილი მენეჯმენტის ინფორმაცია მოიცავს დეტალებს სადაზღვევო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვებისა და შემდგომ ჩამოწერის შესახებ. ცალკეულ დაზღვეულებთან და დაზღვეულთა ჯგუფებთან კონტაქტები გროვდება კონტროლის მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში. როდესაც არსებობს ცალკეული დაზღვეულის ან დაზღვეულის მფლობელთა ჰომოგენური ჯგუფის მნიშვნელოვანი ზემოქმედება, გადამზღვეველებისთვის ჩატარებული ფინანსური ანალიზის ექვივალენტი ხორციელდება კომპანიის მიერ.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანება შედგება კლიენტების დიდი ოდენობისგან, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ინდუსტრიებსა და გეოგრაფიულ ზონებში. მუდმივად ხორციელდება დებიტორული მოტხოვნების საკრედიტო შეფასება.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რისკი განაწილებულია კონტრაგენტებისა და კლიენტების დიდ რაოდენობაზე. კომპანია განსაზღვრავს კონტრაგენტებს, როგორც მსგავსი მახასიათებლების მქონეს, თუ ისინი დაკავშირებული კომპანიები არიან. ლიკვიდურ სახსრებზე საკრედიტო რისკი შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები არიან ბანკები მაღალი საკრედიტო რეიტინგებით, რომლებიც მინიჭებულია საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის სააგენტოების მიერ.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც შემცირებულია გაუფასურების ზარალით, წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალურ ზემოქმედებას საკრედიტო რისკზე.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი, რომელსაც კომპანია ექვემდებარება, მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31.12.2023	31.12.2022
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები		
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	6,286,241	7,056,197
ფინანსური აქტივები		
სხვა აქტივები	1,121,805	849,214
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	19,964,000	12,671,459
ფული და ფულის ექვივალენტები	7,988,767	12,566,506
	35,360,813	**33,143,376**

ლიკვიდურობის რისკი - დაფარვის ანალიზი

ლიკვიდურობის რისკის მართვაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორთა საბჭოს, რომელმაც შექმნა ლიკვიდობის რისკის მართვის შესაბამისი ჩარჩო კომპანიის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსებისა და ლიკვიდობის მართვის მოთხოვნების მართვისთვის. კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს ადეკვატური რეზერვების შენარჩუნებით პროგნოზული და რეალური ფულადი ნაკადების მუდმივი მონიტორინგით და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის პერიოდების შესაბამისობით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს კომპანიის სადაზღვევო და ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტების სახელშეკრულებო ვადები განისაზღვრა ანგარიშგების თარიღიდან სახელშეკრულებო დაფარვის თარიღამდე დარჩენილი პერიოდის საფუძველზე. დაფარვის პერიოდებს აკონტროლებს მენეჯმენტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადეკვატური ლიკვიდურობა. საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პოზიცია შემდეგი იყო:

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი დაფარვის თარიღების საფუძველზე.

ლიკვიდურობის მდგომარეობა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

31.12.2023	**1 წლამდე**	**1-დან 5 წლამდე**	**5 წლის ზემოთ**	**სულ**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები				
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	4,626,638	1,422,540	237,063	**6,286,241**
ფინანსური აქტივები				
სხვა აქტივები	1,121,805	-	-	**1,121,805**
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	9,517,543	10,446,457	-	**19,964,000**
ფული და ფულის ექვივალენტები	7,988,767	-	-	**7,988,767**
	23,254,753	**11,868,997**	**237,063**	**35,360,813**

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს საანგარიშგებო წლისთვის

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	15,366,041	968,618	858,665	**17,193,324**
ფინანსური ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	775,420	-	-	**775,420**
საიჯარო ვალდებულება	195,852	-	-	**195,852**
სხვა ვალდებულებები	5,149,173	-	-	**5,149,173**
	21,486,486	**968,618**	**858,665**	**23,313,769**
წმინდა პოზიცია	**1,768,267**	**10,900,379**	**(621,602)**	**12,047,044**

ლიკვიდურობის მდგომარეობა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის

31.12.2022	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები				
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	5,049,288	1,720,235	286,674	**7,056,197**
ფინანსური აქტივები				
სხვა აქტივები	849,214	-	-	**849,214**
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	3,034,817	9,636,642	-	**12,671,459**
ფული და ფულის ექვივალენტები	12,566,506	-	-	**12,566,506**
	21,499,825	**11,356,877**	**286,674**	**33,143,376**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	16,285,948	767,280	680,181	**17,733,409**
ფინანსური ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	**-**
საიჯარო ვალდებულება	183,018	-	-	**183,018**
სხვა ვალდებულებები	5,382,530	-	-	**5,382,530**
	21,851,496	**767,280**	**680,181**	**23,298,957**
ნეტო პოზიცია	**(351,671)**	**10,589,597**	**(393,507)**	**9,844,419**

დღეისათვის კომპანია ელოდება ყველა ვალდებულების გადახდას სახელშეკრულებო ვადის გასვლისას. ასეთი ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანია მოელის, რომ საოპერაციო საქმიანობა გამოიმუშავებს საკმარის ფულად სახსრებს.

საგარანტიო ხელშეკრულებები სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები მერყეობდეს საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად, იქნება ეს ცვლილებები გამოწვეული ცალკეული ფასიანი ქაღალდების, ან მისი ემიტენტის სპეციფიკური ფაქტორებით, ან ყველა ფასიან ქაღალდზე ზემოქმედების ფაქტორებით. კომპანიის საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტაში (ბ) საპროცენტო და (გ) საფასო რისკის აქტივებსა და ვალდებულებებში, იმ ზომით რამდენადაც ისინი ექვემდებარება ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებზე, რომლებიც შეიძლება იყოს მისაღები, რომლებიც რეგულარულად კონტროლდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება ხელს არ უშლის დანაკარგებს ამ ლიმიტების მიღმა ბაზრის უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში. ერთეულთან დაკავშირებული კონტრაქტები არ იქნა გათვალისწინებული საბაზრო რისკის მგრძნობელობის გამო და რადგან ისინი მხოლოდ კონტრაქტებშია გადაცემული.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ეფუძნება ერთი ფაქტორის ცვლილებას, ხოლო ყველა სხვა ფაქტორს უცვლელად დარჩენას. პრაქტიკაში, ეს ნაკლებად სავარაუდოა, და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შეიძლება იყოს კორელაციური - მაგალითად, საკრედიტო სპრედი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება.

საბაზრო რისკის ფაქტორები მოიცავს კაპიტალის ფასებს, საკრედიტო სპრედებს, სავალუტო კურსებს და საპროცენტო განაკვეთებს. კომპანია ზღუდავს საბაზრო რისკს დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნებით და ადგილობრივ კაპიტალისა და ობლიგაციების ბაზრებზე განვითარებული მოვლენების მუდმივი მონიტორინგით. გარდა ამისა, კომპანია აქტიურად აკონტროლებს ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ აქციების და ობლიგაციების ბაზრის მოძრაობაზე, მათ შორის ინვესტიციის მონაწილეთა საოპერაციო და ფინანსური საქმიანობის ანალიზს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

31.12.2023

	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა	სულ
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები					
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	(652,586)	6,837,484	103,437	(2,094)	**6,286,241**
ფინანსური აქტივები					
სხვა აქტივები	1,121,805	-	-	-	**1,121,805**
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	8,356,013	10,715,397	892,590	-	**19,964,000**
ფული და ფულის ექვივალენტები	7,765,754	107,023	115,990	-	**7,988,767**
	16,590,986	**17,659,904**	**1,112,017**	**(2,094)**	**35,360,813**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები					
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	8,933,244	8,162,072	192,538	(94,530)	**17,193,324**
ფინანსური ვალდებულებები					
საგადასახადო ვალდებულებები	775,420	-	-	-	**775,420**
საიჯარო ვალდებულება	-	195,852	-	-	**195,852**
სხვა ვალდებულებები	4,681,202	202,364	265,605	-	**5,149,171**
	14,389,866	**8,560,288**	**458,143**	**(94,530)**	**23,313,767**
	2,201,120	**9,099,616**	**653,874**	**92,436**	

31.12.2022

	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა	სულ
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები					
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	(1,337,482)	8,381,774	(1,467)	13,372	**7,056,197**
ფინანსური აქტივები					
სხვა აქტივები	849,214	-	-	-	**849,214**
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	-	12,671,459	-	-	**12,671,459**
ფული და ფულის ექვივალენტები	8,441,498	4,067,835	34,419	22,754	**12,566,506**
	7,953,230	**25,121,068**	**32,952**	**36,126**	**33,143,376**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები					

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	10,058,743	7,438,397	212,102	24,167	**17,733,409**
ფინანსური ვალდებულებები					
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	-	183,018	-	-	**183,018**
სხვა ვალდებულებები	4,864,388	259,613	258,529	-	**5,382,530**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	**14,923,131**	**7,881,028**	**470,631**	**24,167**	**23,298,957**
	(6,969,901)	**17,240,040**	**(437,679)**	**11,959**	

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის 20%-იანი მატება/კლება გაზრდის/შეამცირებს წმინდა მოგებას 1,819,923/ (1,819,923) ლარით (2022: 3,448,008 ლარი / (3,448,008)).

ლარი/ევროს გაცვლითი კურსის 20%-იანი მატება/კლება გაზრდის/შეამცირებს წმინდა მოგებას 130,775/ (130,775) ლარით (2022: ლარი (87,536) / 87,536).

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით

მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება. კომპანია ადგენს

რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას: დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის..

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები დადისკონტირებულია იმ საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც კომპანიას განთავსებული აქვს ისინი. ფული და ფულის ექვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 ,,დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს,კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილსაწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე;და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენააქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ:

	2023		2022	
	ოპერაციები/ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა	ოპერაციები/ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	978,749	**3,502,203**	697,134	**3,048,514**
გადასახდელი საკომისიო	308,424	**1,782,738**	515,227	**13,129,468**
გაცემული სესხები	699,171	**699,171**	504,119	**1,645,546**

17. პირობითი ვალდებულებები

დავები - 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია მოპასუხედ გამოდის რამდენიმე სასამართლო დავაში, სადაც ჯამური სადავო თანხა 6,932,267 ლარია. მოსარჩელეები კომპანიისგან მოითხოვენ სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოქმნილი ზარალების ანაზღაურებას. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსარჩელეების მოთხოვნა უსაფუძვლოა და ამ სარჩელებთან დაკავშირებით ეკონომიკური სარგებლის გადინება არ მოხდება კომპანიიდან. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ აქვს აღიარებული რეზერვი მოცემულ თანხებთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალ ფუნქციონირებაზე. სადაზღვევო პოლისებთან დაკავშირებული იურიდიული სარჩელებისა და პრეტენზიების გათვალისწინება ხდება შესაბამისი ტექნიკური რეზერვის შექმნისას.

საბანკო გარანტიები - კომპანიას აქვს საბანკო გარანტია სს ლიბერთი ბანკში, რომლის მოქმედების ვადა სრულდება 2024 წლის სექტემბერსა და აგვისროში. გარანტიის მოცულობა შეადგენს 6,988,678 ლარს.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

RSM Georgia
85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ აქციონერებსა და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობით ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.
ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

15 აპრილი, 2023

შპს არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: ალი მურტზა

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

RSM Georgia

RSM Georgia
85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia
T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99
www.rsm.ge

INDEPENDENT AUDITOR'S REPORT ON COMPLIANCE WITH LEGAL AND REGULATORY REQUIREMENTS

TO THE SHAREHOLDERS AND MANAGEMENT OF JSC INSURANCE COMPANY UNISON

We have reviewed the enclosed management report for the year ended December 31, 2023 prepared in accordance with the requirements of para 6, of Article 7 of The Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing, hereinafter referred as "the regulatory requirements".

Management is responsible for the preparation and compliance of management report in accordance with regulatory requirements and for such internal controls as management determines is necessary to enable the preparation of management report that is free from material misstatement, whether due to fraud or error.

Our responsibility is to review the management report and issue opinion whether it reflects the status of the company's compliance with the provisions of the regulatory requirements and its correspondence with the financial statements of the same reporting period. In the case if management report is not in compliance with regulatory requirements or is not corresponded with financial statements we are required to report this fact in our opinion. Our scope of work is limited to only inquiries of the company's personnel, performance of analytical procedures, correspondence with audited financial statements and review of documents prepared by the company to comply with the regulatory requirements. We have not carried out any special review of the internal control system which is implemented to prepare management report and we are not expressing any kind of opinion on the effectiveness of internal control systems which are implemented to prepare management report.

Based on our review, nothing has come to our attention which causes us to believe that the management report is not corresponding with audited financial statements or it does not appropriately reflect the company's compliance with para 6, of Article 7 of The Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing, in all material respect, for the year ended 31 December 2023.

15, April 2024

RSM Georgia

Engagement Partner: Ali Murtza

RSM Georgia

UNISON
INSURANCE COMPANY

მმართველობის ანგარიშგება

2023

მმართველობის ანგარიშგება
სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შინაარსი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა 3

საქმიანობის მიმოხილვა 3

კომპანიის ფილიალები 3

კომპანიის დამფუძნებლები, მმართველობა და შიდა სტრუქტურა 4

კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები 6

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 7

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ 7

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 8

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ 8

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 8

მმართველობის ანგარიშგება
სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

საქმიანობის მიმოხილვა

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე სს სადაზღვევო კომპანია უნისონი 2011 წლიდან ოპერირებს და ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისათვის. კომპანია სადაზღვევო პროდუქტების სრული სპექტრით არის წარმოდგენილი და მომხმარებლებს სთავაზობს, ავტოტრანსპორტის დაზღვევას, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევას, დაზღვევას უბედური შემთხვევისაგან, ტურისტულ დაზღვევას, პასუხისმგებლობის დაზღვევას, ფინანსური რისკების დაზღვევას და რა თქმა უნდა ქონების დაზღვევას. სწორედ ქონების დაზღვევის მიმართულებით სს სადაზღვევო კომპანია უნისონი პირველივე წლიდან ბაზრის მნიშვნელოვან წილს იკავებს, დაარსების პირველივე წლიდან ლიდერობს და მუდმივად ზრდის პორთფელს. სწორედ ამიტომ მოზიდული პრემიის მონაცემებით სტაბილურად იკავებს მნიშვნელოვან და წამყვან პოზიციას - (იხილეთ ბმული https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics/Index/1.)

გადაზღვევის მიმართულებით უნისონის მრავალწლიანმა და სტაბილურმა თანამშრომლობამ A რეიტინგის მქონე მსოფლიოს სხვადასხვა კომპანიებთან განაპირობა, რომ ის მუდამ ერთ-ერთი საუკეთესო შეთავაზებებით არის ბაზარზე წარმოდგენილი. სწორედ ეს სტაბილური თანამშრომლობა და პოზიციონერობა იძლევა საშუალებას წლიდან წლამდე გაიზარდოს ფრონტინგული კონტრაქტების მოცულობა. 2022 წელთან შედარებით ამ ზრდამ 2,5 მლნ ლარი შეადგინა.

მომხმარებლებლებისათვის დაზღვევის სრული სპექტრის შეთავაზება ასევე გულისხმობს სერვისის მიღების უფრო სრულყოფილ მექანიზმს. ბოლო წლების განმავლობაში ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა სამედიცინო მიმართულების წამოწევაში, როგორც საცალო ასევე მსხვილი კორპორატიული კლიენტების ჭრილში. დაინერგა პერსონალური მენეჯერების მომსახურება, რამაც უფრო მოქნილი, სწრაფი და კომფორტული გახადა სამედიცინო სერვისების მიღების და ანაზღაურების პროცესი. შეიქმნა კორპორატიულ კლიენტთა მომსახურების ჯგუფი, რომელიც გულისხმობს კლიენტებისთვის ადმინისტრირების ნაწილში „ერთი ფანჯრის პრინციპით" კომპანიასთან კომუნიკაციას. გაიზარდა პროვაიდერთა რაოდენობა, როგორც სამედიცინო ასევე არასამედიცინო მიმართულებით.

სს სადაზღვევო კომპანია უნისონი მოქმედებს პრინციპით „იცნობდე შენს კლიენტს", რაც ხელს გვიწყობს ჩვენი კლიენტების რისკების შეფასებაში და მათზე მორგებული პროდუქტის შეთავაზებაში. ასევე მნიშვნელოვანი როლი უჭირავს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი ელექტრონული სერვისების შეთავაზებას, გამარტივებული პროცედურების დანერგვას, კომუნიკაციის არაერთი არხის გამოყენებას. ეს ყველაფერი ამაღლებს დაზღვევის კულტურას, ხდის დაზღვევას უფრო აღქმადს, გასაგებსა და ხელმისაწვდომს.

ზემოთაღნიშნული სიახლეების და ცვლილებების გათვალისწინებით 2023 წლის განმავლობაში განახლდა კომპანიის ელექტრონული გვერდი და მობილური აპლიკაცია. მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს მოდული „გახდი აგენტი", რომელიც საშუალებას იძლევა ნებისმიერი მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი იყოს აგენტად რეგისტრაცია, მომხმარებელთათვის უნისონის პროდუქტების შეთავაზება და რეალიზაცია მარტივი ელექტრონული ფორმით.

კომპანიის ფილიალები

2023 წელში უნისონი ფლობდა 2 ფილიალს:

- თბილისი, დავით გამრეკელის ქუჩა #19
- ბათუმი, დემეტრე თავდადებული ქუჩა #31

მომხმარებლებს ფილიალებიდან შეუძლიათ მიიღონ მსგავსი მომსახურება რაც სათაო ოფისიდან. კომპანია უახლოეს მომავალში გეგმავს გაფართოებას რეგიონების დიდ ქალაქებში.

მმართველობის ანგარიშგება
სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

კომპანიის დამფუძნებლები, მმართველობა და შიდა სტრუქტურა

ორგანიზაციის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორები.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

თავმჯდომარე- ილია კეჭაყმაძე, 33001003424

გიორგი შოშიტაიშვილი, EN965471 /ბელგია/

კახაბერ ბერძენიშვილი, 01024022641

კომპანიას მართავს სამი რეგისტრირებული დირექტორი

გენერალური დირექტორი - ვასილ ახრახაძე, 01017006305

აღმასრულებელი დირექტორი - სოფიო ბერაია, 60001030109

რისკების დირექტორი- ნინო ბოკუჩავა, 01010013736

კომპანიის მართვაში დირექტორებთან ერთად მონაწილეობენ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები.

კომპანიის სწრაფვამ საქმიანობის პროცესში გამოიყენოს თანამედროვე ავტომატური სისტემები და სერვისები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, გაამარტივა და დახვეწა საქმიანობის პროცესი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კადრების მუდმივ განვითარებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. სწორედ ამ მიზნით კომპანია უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობასა და ჩართულობას სასწავლო კურსებში, ტრენინგებში და სემინარებში.

კომპანიის საკადრო რესურსის განვითარება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

• შიდა კადრების განვითარება და კმაყოფილების ზრდა

• წარმატებული კადრების გამოვლენა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა

• კვალიფიციური კადრების გარედან მოზიდვა კონკურენტუნარიანი და ჯანსაღი სამუშაო პირობების შეთავაზების გზით

• თანამედროვე საბონუსე და თანამშრომელთა ლოიალურობის პროგრამების დანერგვა.

2023 წლის ბოლოს დასაქმებულთა რაოდენობამ 120 თანამშრომელი შეადგინა.

მმართველობის ანგარიშგება
სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

კომპანიის შიდა სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც აქტიური იყო 2023 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:



მმართველობის ანგარიშგება
სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები

სს სადაზღვევო კომპანია უნისონის, როგორც მუდმივად მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული კომპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქმიანობის გაფართოება, როგორც კორპორატიული, ასევე ინდივიდუალური მიმართულებით.

სს სადაზღვევო კომპნია უნისონი როგორც ავღნიშნეთ სადაზღვევო პროდუქტების სრული სპექტრით და მომსახურების მიწოდების თანამედროვე ელემენტებით არის წარმოდგენილი. თუმცა ბაზარზე არსებული პოზიციის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით საჭიროა მუდმივად განახლებული და ახალი შეთავაზებებით შეძლოს საკუთარი კლიენტების შენარჩუნება და ახალი კლიენტების მოზიდვა.

თამანედროვე ციფრულ სამყაროში ხელმისაწვდომობა და სიმარტივე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მომხმარებელთათვის, ამ მიზნით განახლდა კომპანიის ვებ გვერდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია:

- არაერთი პროდუქტის გამარტივებული წესით შეძენა;
- პირადი კაბინეტის დახმარებით პოლისების მართვა და სერვისების დისტანციური მიღება;
- თავისუფალ აგენტად დარეგისტრირება და პოლისების რეალიზაცია;
- სიახლეების გაცნობა და სხვა;

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს ბაზრის კვლევის პროცესი, რომელზე დაყრდნობითაც ვითარდება არსებული პროდუქტები და იქმნება ახალი შეთავაზებები. 2022 წელს ავტოტრანსპორტის დაზღვევის სწორედ ერთ ასეთ პროდუქტს ჩაეყარა საფუძველი, „კასკო 50/50". აღნიშნული პროდუტი გულისხმობს უზარალობის შემთხვევაში განახევრებულ პრემიას.

2023 წელს კვლავ აქტიურად მიმდინარეობას ახალი სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად აიტი ინფრასტრუქტურის განახლება:

- სასერვერო ინფრასტრუქტურა (Servers);
- ქსელური ინფრასტრუქტურა (Networking);
- სისტემური უსაფრთხოება (Security);

მიღწეული შედეგები კი ასე გამოიყურება:

- გაუმჯობესდა ინფორმაციის დაცულობა;
- სარვერების უწყვეტობა;
- უზრუნველყოფილ იქნა სარეზერვო ასლების (Backup) წარმოება;
- დაინერგა სერვერების მონიტორინგის სისტემები.

სისტემური უსაფრთხოების მიმართულებით იგეგმება, ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაცია "ISACA" -ს გამოცემული "COBIT" სტანდარტების გათვალისწინება, რომელიც საშუალებას მოგვცემს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ პროცესებში ხელი შეუწყოს უწყების ბიზნესს პროცესებს მოთხოვნების შესრულებას კერძოდ:

- ინფორმაციის ეფექტური გამოყენებას;
- რესურსების ეფექტურ განაწილებას;
- კონფიდენციალურობას;
- ინფორმაციის დაცვას არა ავტორიზირებული წვდომისა და გამჟღავნებისგან;

წინა წლების მსგავსად 2023 წლის პრიორიტეტებში იყო განსაზღვრული, ციფრული მიმართულებების განვითარება, რაც დინამიური პროცესია და 2024 წელშიც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კომპანიის ზრდისა და განვითარების გზაზე. თანამედროვე ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება და ახალ შესაძლებლობებს იძლევა მომსახურების სფეროში, სწორედ ამ შესაძლებლობების გამოყენებით გეგმავს კომპანია, უფრო მოქნილი, მარტივი და ხელმისაწვდომი გახადოს სადაზღვევო პროდუქტები და სერვისები.

კომპანიამ განავითარა ონლაინ გაყიდვის არხები, როგორც საკუთარ, ისე პარტნიორ ორგანიზაციებში, რამაც საშუალება მისცა ჰქონოდა ბაზრის დიდ ნაწილზე წვდომა და მომხმარებელისთვის მეტი კომფორტი შეეთავაზებინა.

მმართველობის ანგარიშგება
სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

„იცნობდე შენს კლიენტს" პრინციპზე დაყრდნობით, კორპორატიული კლიენტებისათვის კომპანიაში შეიქმნა მომსახურების ჯგუფი, რათა ერთი ფანჯრის პრინციპით მოხდეს კლიენტის საჭიროებების, მოთხოვნებისა და მომსახურების მართვა.

გადაზღვევის მიმართულებით სტაბილურ, რეიტინგულ და წამყვან კომპანიებთან თანამშრომლობა, კომპანიას აძლევს საშუალებას შესთავაზოს არასტანდარტული და მათ საჭიროებებზე მორგებული სადაზღვევო პროდუქტები, როგორც მსხვილ ასევე SME სექტორს - მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს, რომელიც არ იყენებდა დაზღვევას. რაც ხელს უწყობს დაზღვევის პოპულარიზაციას და სადაზღვევო ბაზრის გაფართოებას.

უნისონი აგრძელებს მსხვილ, სტრატეგიულ, კორპორატიულ კლიენტებთან ურთიერთობას და ახალი პარტნიორების მოძიებას.

უნისონი ბიზნეს სტრატეგიის ცვლილებასთან ერთად ახდენს პორთფელის დივერსიფიცირებას მცირე და საშუალო ზომის კომპანიების და საცალო გაყიდვების სასარგებლოდ. დროთა განმავლობაში მსხვილ პროექტებზე დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს დივერსიფიცირებული პორთფელის სასარგებლოდ. ამ მიზნით, პერმანენტულად ხდება კომპანიის გაყიდვების პერსონალის გადამზადება, რაც საშუალებას იძლევა მომზადებულები შევხვდნენ ბაზრის განვითარების შედეგად დამდგარ გამოწვევებს.

2022 წელს კომპანიამ შეძლო გამკლავებოდა უკრაინაში მიმდინარე საომარი ვითარებით ბაზარზე გამოწვეულ უარყოფით შედეგებს, რაშიც იგულისხმება სადაზღვევო პორთფელის სტაბილურობის შენარჩუნება, გადაზღვევის მიმართულებით ახალი პარტნიორების მოძიება, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის და სავალუტო რისკების მართვა და ა. შ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სს სადაზღვევო კომპანია უნისონი წლების განმავლობაში სტაბილურად ინარჩუნებს დადებით ROE-ს.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიის ახალი ან არსებული პროდუქტების/სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ განყოფილებაში: „კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები".

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

2023 წელი კომპანიის საოპერაციო წინა წელთან შედარებით არსებითად არ შეცვლილა, ხოლო წმინდა მოგება თითქმის ორჯერ გაიზარდა. კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შემდეგია:

	2023	2022	ცვლილება
სადაზღვევო ამონაგები	55,417,399	54,230,143	2%
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	(24,689,065)	(27,357,235)	-10%
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი	4,317,410	5,100,468	-15%
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები	(33,170,633)	(29,354,745)	13%
მოგება დაბეგვრამდე	**3,474,421**	**1,684,221**	**106%**
წმინდა მოგება	**2,699,768**	**1,280,622**	**111%**

კომპანიის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები შემდეგია:

	2023	2022	ცვლილება
მთლიანი ზარალის კოეფიციენტი- სადაზღვევო მომსახურების ხარჯები / სადაზღვევო ამონაგები	47%	47%	-
წმინდა ზარალის კოეფიციენტი-სადაზღვევო მომსახურების ხარჯები + გადაზღვევის მომსახურეობის ხარჯები / სადაზღვევო ამონაგები+ შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებიდან	97%	96%	1%
დაბეგვრამდე მოგების მარჟა - მოგება დაბეგვრამდე/სადაზღვევო ამონაგები	6%	3%	100%
წმინდა მოგების მარჟა - წმინდა მოგება/სადაზღვევო ამონაგები	5%	2%	150%

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები შემდეგია:

	2023	2022	ცვლილება
აქტიური პოლისების რაოდენობა	169 241	186 911	-9%
ანაზღაურებული ზარალების რაოდენობა	141 013	151 513	-7%

კომპანიის სადაზღვევო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დამდგარი ვალდებულებების დროულად შესრულება და სადაზღვევო ვალდებულებების დადგენილ ვადაში ანაზღაურება.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 წელს კომპანიას დამატებით არ გამოუშვია აქციები.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საოპერაციო რისკები

დაზღვევა არის ფინანსური ინსტრუმენტი, იმისათვის რომ დაიცვას დაზღვეული (კორპორატიული თუ ინდივიდუალი კლიენტი) გაუთვალისწინებელი ფინანსური დანახარჯებისაგან. სწორედ საქმიანობის ამ სპეციფიკიდან გამომდინარეობს ის ძირითადი რისკი რის წინაშეც დგას კომპანია არის სადაზღვევო რისკი. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას გადააჭარბებს ზარალების მოცულობა კომპანიას შესაძლებელია წარმოეშვას აღნიშნული რისკი.

აღნიშნული რისკის შემცირების ძირითადი მექანიზმებია:

- ანდერაიტინგის სამსახურის მიერ რისკის კრიტერიუმების განსაზღვრა და შეფასება

- რისკების მისაღებ დონემდე განეიტრალების უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლობა რეიტინგულ გადამზღვევლებთან

სადაზღვევო რისკების განეიტრალების მიზნით, კომპანია ასევე ახდენს სადაზღვევო კონტრაქტების პორთფელის დივერსიფიცირებას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორთფელზე. სამედიცინო/არასამედიცინო მიმართულება უნისონის პორთფელში წმინდა გამომუშავების კუთხით 50/50 პროპორციით არის განაწილებული. ამასთან, არასამედიცინო მიმართულებაში შიდა დივერსიფიცირება ქონებას, საჰაერო/საზღვაო და ავტოტრანსპორტის მიმართულებით რისკების დაბალანსების მნიშვნელოვან ბერკეტს იძლევა. აღნიშნული შესაძლებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული ინვესტორებთან, გადამზღვევლებთან და მსხვილ კლიენტებთან მოლაპარაკებისას.

კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს სადაზღვევო ბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენცია, რაც შეიძლება გახდეს შემოსავლის შემცირების მიზეზი. ამ კუთხით განსაკუთრებულ საფრთხეს შეიცავს ბანკების მიერ დაფუძნებული სადაზღვევო კომპანიები რომელთაც წვდომა აქვთ ბანკების კლიენტების ბაზებზე და ფინანსურ რესურსებზე. წლიდან წლამდე მსგავსი კომპანიების ბაზრის წილი მნიშვნელოვნად იზრდება. დიდი ალბათობაა იმასა, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში მივიღოთ იგივე ოლიგოპოლიური სურათი რაც ჩამოყალიბდა საბანკო ბაზარზე. აღნიშნული რისკის შესამცირებლად კომპანია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კლიენტის ლოიალურობის ზრდას, ნერგავს სხვადასხვა ინოვაციურ პროდუქტებს და ზრდის არსებული პროდუქტების ხელმისაწვდომობას. 2021 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც ბანკებს აქვთ ვალდებულება კლიენტს შეთავაზონ მინიმუმ 3 სადაზღვევო კომპანიის პოლისი და კონკურენტულ გარემოში გააკეთონ არჩევანი, ეს ნაწილობრივ შეამცირებს ზემოაღნიშნულ რისკებს.

ფინანსური რისკები

კომპანია, თავისი საქმიანობის პროცესში დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე: საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და სავალუტო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ყოველი ახალი დამზღვევის შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე.

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგისას ხდება მომხმარებლების დაჯგუფება მათი სახეობების, გეოგრაფიული არეების, ინდუსტრიის მიხედვით და ა.შ. ,,მაღალი რისკის" მქონე მომხმარებლების დაჯგუფება ხდება ცალკე და მათთან შემდგომი თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდება წინასწარი გადახდების საფუძველზე. სადაზღვევო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. 2022 წელს ვალუტის კურსის მნიშვნელოვანმა ცვლილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა

მმართველობის ანგარიშგება
სს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"
საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

გადაფასების ხარჯი და გავლენა იქონია საბოლოო მოგების ციფრზე, თუმცა კომპანიის ლიკვიდურობაზე ამას გავლენა არ მოუხდენია. აღნიშვნულიდან გამომდინარე კომპანიამ 2023 შეცვალა ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა, რათა დაეწია მისი მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლით კურსთან. სავალუტო რისკის გავლენის შედეგები კომპანიის საქმიანობაზე განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 12-აპრილს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი /ვ. ახრახაძე/